ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

რადიოარხების საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი

შემაჯამებელი ანგარიში

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021

INTERNEWS GEORGIA

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიშის შინაარსი შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციას.

სარჩევი

პროექტის შესახებ 3

მონიტორინგის მეთოდოლოგია 3

რადიოარხების მონიტორინგის ძირითადი შედეგები: 4

„საქართველოს რადიო“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი) 6

რადიო „მაესტრო“ 8

„პირველი რადიო“ 11

რადიო „პალიტრა“ 13

რადიო „იმედი“ 15

რადიო “ფორტუნა” 17

რადიო „ჰერეთი“ 19

რადიო „სამხრეთის კარიბჭე“ (ქ. ახალციხე) 21

რადიო „მარნეული“ 23

რადიო „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი) 25

რადიო „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი) 27

პროექტის შესახებ

„ინტერნიუსი-საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „2021 **წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“- ფ**არგლებში, რადიომაუწყებლების საღამოს საინფორმაციო გამოშვებებს აკვირდებოდა. მონიტორინგი 2021 წლის 5 ივლისს დაიწყო და 14 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდა - მოიცავდა როგორც წინასაარჩევნო, არჩევნების პირველი (2 ოქტომბერი) და მეორე (30 ოქტომბერი) ტურის, ასევე არჩევნების შემდგომ პერიოდებს.

დაკვირვება 12 რადიომაუწყებლის საინფორმაციო გადაცემებზე უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ, რადგან რადიო „ვეის“ (ახმეტის რაიონი, პანკისის ხეობა, სოფ. დუისი) კვლევის პერიოდში საინფორმაციო გამოშვებები არ მოუმზადებია, მონიტორინგი 11 რადიოარხის საღამოს საინფორმაციო გამოშვებებს შეეხო. ეს რადიოებია: „საქართველოს რადიო“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „იმედი“, „მაესტრო“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „ფორტუნა“, „ჰერეთი“, „მარნეული“, „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი), „სამხრეთის კარიბჭე“ (ქ. ახალციხე), „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი).

მონიტორინგის მეთოდოლოგია

რადიოარხების საღამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის მიზანი იმის განსაზღვრა იყო, თუ რამდენად სამართლიანად, თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება.

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, გაშუქების ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), პირდაპირი/ირიბი გაშუქება (სუბიექტები თავად საუბრობენ, თუ მათზე სხვები საუბრობენ), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი).

თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, ტენდენციურობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ხმით/მუსიკით მანიპულირება, ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვა, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდებოდა პარტიებზე და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობდნენ. მონიტორინგის სუბიექტები ასევე

იყვნენ: მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრეზიდენტი, ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი.

დაკვირვება ხორციელდებოდა არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სიუჟეტებზე, არამედ ყველა სიუჟეტზე, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი.

ანგარიში მოიცავს 5 ივლისიდან 14 ნოემბრის ჩათვლით პერიოდის საღამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგებს.

5 ივლისი - 14 ნოემბრის პერიოდში რადიოარხების მონიტორინგმა შემდეგი შედეგები გამოავლინა:

- 2021 წლის მონიტორინგის შედეგები გვიჩვენებს, რომ რადიომაუწყებლების უმეტესობა არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მკვეთრად მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა. თუმცა, წინა წლებთან შედარებით, ახალ ამბებში გაიზარდა დაუბალანსებელი სიუჟეტების რიცხვი, სადაც ან უმეტესად ხელისუფლების პოზიციები შუქდებოდა ან - ოპოზიციის;
- რადიოარხებზე ნარჩუნდება დადებითი ტენდენცია, რომელიც პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვას ეხება. ჟურნალისტები სიძულვილის ენას არ იყენებენ, ეთერში არ ისმის სექსისტური, ჰომოფობიური, რომელიმე გენდერული ნიშნის მიმართ სიძულვილის ან საფრთხის შემცველი განცხადებები და არც ხმით / მუსიკით მანიპულირების შემთხვევები ფიქსირდება. ეს ყველაფერი პოლიტიკური პროცესების და წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა, ქვემოთ ჩამოთვლილი გამოწვევები იმდენად მწვავეა, რომ რადიომაუწყებლების საინფორმაციო გადაცემები მაღალი ხარისხის სტანდარტებს კვლავაც ვერ აკმაყოფილებენ. დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა და პოლარიზაციის ფონზე, ის პრობლემები, რომლებიც 2020 წლის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, 2021 წელს კიდევ უფრო გამწვავდა - გადაცემების ხარისხი, უმეტესწილად, გაუარესებულია, ხოლო ახალი ამბების ზედაპირულად გაშუქება მოსახლეობის ინფორმირებულ არჩევანს ხელს ნაკლებად უწყობს;
- წინა წლებთან შედარებით, კიდევ უფრო თვალშისაცემი იყო ის ფაქტი, რომ რადიოარხები ერთმანეთთან კონკურენციას არ ცდილობდნენ - სხვადასხვა რადიოს საინფორმაციო გამოშვებებში ერთი და იგივე თემები ტრიალებდა და ნაკლებად ისმოდა ისეთი ინფორმაცია, რომელიც სხვა რადიოს ეთერში არ ხვდებოდა;

- წინა წლებთან შედარებით, რადიოების უმრავლესობაში მოიმატა ისეთი ახალი ამბების გაშუქებამ, რომლებიც მთლიანად ხელისუფლება - ოპოზიციის დაპირისპირებებზე იყო აგებული და ნაკლებად ჩანდა ჟურნალისტების მცდელობა, რომ პოლიტიკოსების დაპირისპირების მიღმაც მოეძებნათ და გაეშუქებინათ მოსახლეობისთვის აქტუალური თემები და ამით საინფორმაციო გამოშვებები უფრო მრავალფეროვანი გაეხადათ;

- რადიომაუწყებლების პრობლემად კვლავაც რჩება ექსკლუზიური, სიღრმისეული და ანალიტიკური სიუჟეტების სიმწირე. ჟურნალისტები საკითხების განსხვავებული კუთხით წარმოჩენას, გაანალიზებას, ან ახალი პრობლემების წინა პლანზე წამოწევას ნაკლებად ცდილობდნენ;

- გასული წლების მონიტორინგის შედეგები გვიჩვენებდა, რომ ჟურნალისტებს წინასაარჩევნო პროგრამები და კანდიდატთა ხედვები (ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი) მსმენელამდე სათანადოდ კრიტიკულად და სიღრმისეულად ვერ მიჰქონდათ. 2021 წელს ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა, რადგან კანდიდატთა ხედვების გაშუქება, პროგრამების შინაარსობრივი თუ შედარებითი განხილვა საერთოდ არ ყოფილა. მცირე დროით, მოკლედ და ზედაპირულად მხოლოდ კანდიდატთა მოსახლეობასთან შეხვედრები შუქდებოდა;

- მონიტორინგის დასაწყისში საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადი აქცენტი თუ კოვიდ-19-თან დაკავშირებულ სიახლეებსა და პოლიტიკური პარტიების დაპირისპირებებზე კეთდებოდა, ბოლო პერიოდში ექსპრზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პატიმრობამ ყველა სხვა თემა გადაფარა. ხშირ შემთხვევაში, საინფორმაციო გამოშვებებში სხვა არაფერი შუქდებოდა და ისედაც უყურადღებოდ დარჩენილი სოციალური პრობლემები, განათლება, ეკონომიკა, ეკოლოგია თუ თბილისს გარეთ არსებული გამოწვევები სულ უფრო ნაკლებად ხვდებოდა რადიომაწყებლების ინტერესის არეალში;

- რადიოარხებზე ანონიმურ და საეჭვო წყაროზე დაყრდნობით ახალ ამბები არ მომზადებულა, თუმცა პოლიტიკოსთა განცხადებები გადამოწმების გარეშე შუქდებოდა. ექსპერტულ შეფასებებს, კვლევებსა თუ სხვა სახის მონაცემებს დრო თითქმის არ ეთმობოდა - პოლიტიკოსები აკეთებდნენ ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებებს, თუმცა ჟურნალისტები ვერ ახერხებდნენ, რომ მსმენელს სიმართლის დადგენაში დახმარებოდნენ;

- რადიოებში შენარჩუნდა 2020 წელს გამოკვეთილი ტენდენცია, როდესაც ახალი ამბების უმეტეს ნაწილს პოლიტიკოსთა საჯარო განცხადებების ჟურნალისტების მიერ ციტირება შეადგენდა. რადგან რადიო ინფორმაციას მხოლოდ ხმით გადმოსცემს, ნათქვამის უკეთ აღქმისთვის, მნიშვნელოვანია პირდაპირ საუბარს მეტი დრო დაეთმოს და მსმენელმა პოლიტიკოსების განცხადებები თუ მოსაზრებები უშუალოდ მათგან მოისმინოს. სუბიექტების, უმეტესად, ირიბად გაშუქება, გარკვეულწილად, იმაზეც მიუთითებს, რომ ჟურნალსიტები საკითხებზე თავად ნაკლებად მუშაობდნენ და ხშირად მხოლოდ ოპოზიციური პარტიებისა თუ ხელისუფლების ოფიციალურად გავრცელებულ განცხადებებს, ან საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციებს აჟღერებდნენ;

- რეგიონული რადიომაუწყებლები რეგიონში მიმდინარე მოვლენების მაღალი სტანდარტებით გაშუქებას კვლავ ვერ ახერხებდნენ. ხშირ შემთხვევაში, საინფორმაციო გამოშვებებში აქცენტი თბილისში განვითარებულ მოვლენებზე კეთდებოდა. ადგილობრივი ახალი ამბების გაშუქების დროს ჟურნალისტები კრიტიკულ კითხვებს ნაკლებად სვამდნენ და პოლიტიკოსთა აქტივობებსა თუ განცხადებებს ანალიზისა და ფაქტების გადამოწმების გარეშე გადმოსცემდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემური ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქება იყო. რეგიონული რადიოების უმრავლესობაზე მათი აქტივობები და პროექტები მწვავე კითხვების ნაკლებობის, ზედაპირული გაშუქების გამო, ძირითადად, ნეიტრალურად და დადებითად წარმოჩინდებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში აქვს. რეგიონული მაუწყებლების პასიურობა განსაკუთრებული პრობლემაა იმ ფონზეც, როდესაც რეგიონში მიმდინარე მოვლენები არც ცენტრალური რადიოარხების ფოკუსში ექცევა. რეგიონულ რადიომაუწყებლებს შესაძლებლობა აქვთ, რომ თბილისს გარეთ განვითარებული მოვლენების გაშუქების კუთხით არსებული სიცარიელე შეავსონ - იყვნენ პირველები, ექსკლუზიურები და ამით საკუთარი რეგიონის, ქალაქისა თუ რაიონის პრობლემები წინა პლანზე წამოწიონ;

„საქართველოს რადიო“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი)

„საქართველოს რადიოს“ მთავარ გამოწვევად ახალი ამბების მოკლედ და ზედაპირულად გაშუქება რჩება. საინფორმაციო გამოშვებები, ძირითადად, ოპონენტების მიერ ერთმანეთის საპასუხოდ გაკეთებულ განცხადებებზე იყო აგებული. გადაცემები თემების მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა, არ გვხვდებოდა ანალიზი, კრიტიკა და სიღრმისეული სიუჟეტები. ჟურნალისტები არ ცდილობდნენ ექსკლუზიური თემები გაეშუქებინათ და სხვა მაუწყებლებისგან განსხვავებული კონტენტი შეექმნათ, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზანი და ამბიცია უნდა იყოს.

მონიტორინგის ბოლო პერიოდს დაემთხვა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკავება. მისი პატიმრობის თემამ ყველა დანარჩენი საკითხი გადაფარა. ისევე როგორც სხვა თემები, სააკაშვილის პატიმრობაც ზედაპირულად, თუმცა დაბალანსებულად შუქდებოდა. მსმენელს საშუალება ჰქონდა მოესმინა როგორც ხელისუფლების, ისე მათი ოპონენტებისა და უცხოელი პოლიტიკოსების შეფასებები.

საზოგადოებრივმა რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 9 საათი და 24 წუთი დაუთმო, საიდანაც ჯამში 46% მმართველი გუნდის და პარტიის გაშუქებაზე მოდის. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი სუბიექტის დადებითად წარმოჩენის ტენდენცია არ

გამოვლენილა, ხელისუფლების აქტივობებსა და განცხადებებს ოპოზიციასთან შედარებით, არაპროპორციულად მეტი დრო ეთმობოდა.



„საქართველოს რადიომ“ პოლიტიკური სუბიექტები, მეტწილად, ნეიტრალურად გააშუქა. ჟურნალისტები ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ. შედეგად, მთავრობას დადებითად გაშუქების შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაუგროვდა, რაც, ამავე დროს, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებების პოზიტიურ კონტექსტში გაშუქებამაც განაპირობა. რაც შეეხება „ქართული ოცნებისთვის“ დაგროვილ უარყოფით ტონს (28%), ის არა კრიტიკული გაშუქების, არამედ ოპონენტთა განცხადებების ციტირების გამო დაგროვდა.



საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვების წამყვანები პოლიტიკოსთა განცხადებებსა თუ ურთიერთსაწინააღმდეგო ბრალდებებს თავად ციტირებდნენ - პოლიტიკურ სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის დრო არ ეთმობოდათ. პოლიტიკოსთა ნათქვამის უკეთ აღქმისთვის კი მნიშვნელოვანია მსმენელმა მათი განცხადებები და მოსაზრებები უშუალოდ მათგან მოისმინოს.

სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქება(%)
"საქართველოს რადიო"
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



„საქართველოს რადიომ“ მსმენელს მაღალი ხარისხის ჟურნალისტური პროდუქტი ვერც 2021 წელს შესთავაზა. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ არსებულ მაღალ მოლოდინებს მხოლოდ ჟურნალისტური ნორმებისა და ეთიკის საბაზისო სტანდარტების დაცვა ვერ აკმაყოფილებს. მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებელმა მრავალფეროვანი, ექსკლუზიური, კრიტიკული და ანალიტიკური ახალი ამბები მოამზადოს, სადაც პოლიტიკურთან ერთად მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი სოციალური საკითხები, რეგიონების და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის პრობლემები გაშუქდება.

რადიო „მაესტრო“

რადიო „მაესტროს“ ვრცელ საინფორმაციო გამოშვებებში ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები აქტიურად, მაგრამ ზედაპირულად შუქდებოდა. მონიტორინგის ბოლო პერიოდში გადაცემების ქრონომეტრაჟი საგრძნობლად შემცირდა და ძირითადად ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრების ირგვლივ განვითარებული მოვლენები შუქდებოდა. ხშირ შემთხვევაში, ოპოზიციის საპროტესტო აქციები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და აქციაზე გამომსვლელი რამდენიმე პოლიტოკოსის ვრცელი მიმართვის გარდა საინფორმაციო გამოშვებებში სხვა თემა საერთოდ ვერ ხვდებოდა. მსმენელს არც იმის შესაძლებლობა ჰქონდა აქციაზე გაჟღერებული მოსაზრებებისგან განსხვავებული ინფორმაცია მიეღო. ასევე შუქდებოდა მიხეილ სააკაშვილის პატიმრობის/შიმშილობის თემაც, რომელზეც მთლიანობაში გაშუქებული თემების 23% მოდის. ამ საკითხების გაშუქებისას ახალ ამბებს ბალანსი აკლდა, ვინაიდან ექსპრეზიდენტის ადვოკატებისა და

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მმართველი გუნდის მიმართ გამოთქმულ მძიმე ბრალდებებზე ხელისუფლების წარმომადგენელთა საპასუხო კომენტარები იშვიათად ისმოდა. სხვა შემთხვევებში, საინფორმაციო გამოშვებები მთლიანობაში დაბალანსებული იყო, ჟურნალისტები რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ, სუბიექტურ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ, თუმცა მათ მიმართ კრიტიკული კითხვების ნაკლებობაც იგრძნობოდა.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 21 საათი და 30 წუთი დაუთმო. აქედან ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ და მთავრობას (11 სთ. 34 წთ.) დაეთმოთ. „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და მიხეილ სააკაშვილს კი ჯამში 4 საათი და 25 წუთი ერგოთ.



სუბიექტების გაშუქების ტონი, დიდწილად, ნეიტრალური იყო. თუმცა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპროტესტო აქციების პირდაპირ ეთერში გაშუქების გამო მმართველ გუნდს მაღალი უარყოფითი ტონი დაუგროვდა.



რადიო „მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვებები, ძირითადად, პოლიტიკოსთა განცხადებებს ეფუძნებოდა. ჟურნალისტები პოლიტიკური პარტიების მიერ შემოთავაზებულ დღის წესრიგს მიჰყვებოდნენ და მოვლენები სიღრმისეულად ნაკლებად შუქდებოდა. მონიტორინგის პირველ ეტაპზე, ახალი ამბების გაშუქებისას პირდაპირი საუბრისთვის ეთერი ეთმობოდათ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებს.



მონიტორინგის ბოლო პერიოდში რადიო „მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვებები არც თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და არც ჟურნალისტის ნამუშევარი ჩანდა - არ მომზადებულა ექსკლუზიური, ანალიტიკური მასალები, რაც საინფორმაციო გამოშვებების ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდიდა.

„პირველი რადიო“

„პირველი რადიო“ მოვლენებს ვრცლად და კრიტიკული კუთხით აშუქებდა, თუმცა, ზოგჯერ, ცალკეული ახალი ამბავი დაუბალანსებელი იყო. ეთერში ჟურნალისტური სტანდარტების უხეში დარღვევის შემთხვევები არ დაფიქსირებულა. რადიომაუწყებელი თემების სიღრმისეული და ანალიტიკური გაშუქებით არ გამოირჩეოდა. წინა წლის მსგავსად, ჟურნალისტებს პროაქტიულობა ამჯერადაც აკლდათ და ექსკლუზიური მასალების მომზადებას ვერ ახერხებდნენ. საინფორმაციო გამოშვებები ფაქტების მშრალი გადმოცემით შემოიფარგლებოდა, ხოლო თემატიკა სხვა რადიომაუწყებლების მსგავსი იყო. მონიტორინგის ბოლო ეტაპზე აქაც, ისევე როგორც სხვა რადიოარხებზე, ყველა თემა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პატიმრობამ (სულ გაშუქებული თემების 26%) გადაფარა.

მონიტორინგის სუბიექტებს 15 საათი და 11 წუთი დაეთმოთ, საიდანაც ჯამში 6 საათი და 43 წუთი „ქართული ოცნება“ და მთავრობა, ხოლო 6 საათი და 18 წუთი მიხეილ სააკაშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდნენ.



რადიომაუწყებლის ეთერში ხელისუფლების მწვავე კრიტიკა ხშირად ისმოდა, თუმცა ზოგჯერ სიუჟეტები დაუბალანსებელი იყო, რადგან საპასუხო პოზიციები ნაკლებად გვხვდებოდა. ამიტომაც, მმართველი პარტია მკვეთრად ნეგატიურად (50%) გაშუქდა.



„პირველმა რადიომ“ კრიტიკულად გააშუქა, როგორც წინასაარჩევნო, ასევე მეორე ტურის პერიოდი, თუმცა საინფორმაციო გამოშვებების თემატიკა, ამ შემთხვევაშიც, სხვა რადიომაუწყებლების მსგავსი იყო და ჟურნალისტების ნაკლებ პროაქტიულობაზე მიუთითებდა.

სუბიექტებს დროის, საშუალოდ, 52% პირდაპირი საუბრისთვის ეძლეოდათ. გამონაკლისს წარმოადგენდა „ქართული ოცნება“, რომლის გაშუქების 66% ირიბ საუბარზე მოდიოდა, რამაც, შესაბამისად, მმართველი პარტიის უარყოფითი ტონის გაზრდას შეუწყო ხელი.



მნიშვნელოვანია, რომ რადიომაუწყებელი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებისას კრიტიკულ დამოკიდებულებას ინარჩუნებს, თუმცა ახალი ამბების ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭიროა, რომ ჟურნალისტებმა ბალანსის დაცვით იმუშაონ, მეტი დრო დაუთმონ დამატებითი მასალების მოპოვებას, ასევე ინფორმაციის ანალიზსა და დამუშავებას.

რადიო „პალიტრა“

რადიო „პალიტრა“ მოვლენებს ვრცლად და დაბალანსებულად აშუქებდა. ჟურნალისტები ამა თუ იმ თემის ირგვლივ განსხვავებულ მოსაზრებებს წარმოაჩენდნენ - პოლიტიკოსებთან ერთად, არასამთავრობო სექტორისა და ექსპერტთა პოზიციებიც შუქდებოდა. თუმცა, რადიომაუწყებელს ექსკლუზიური სიუჟეტები და თემების მრავალფეროვნება აკლდა. ახალი ამბების თემატიკა სხვა რადიომაუწყებლების მსგავსი იყო: ჟურნალისტები ვერ ახერხებდნენ დღის აქტუალური საკითხების მიღმა, სხვა უყურადღებოდ დარჩენილი და სხვა მედიასაშუალებების მიერ მივიწყებული პრობლემების წინ წამოწევას.

რადიომაუწყებელი აქტიურად აშუქებდა, როგორც წინასაარჩევნო, ასევე არჩევნების დღესა და მეორე ტურის პერიოდის მოვლენებს. გამონაკლისი მხოლოდ აგვისტო იყო, როდესაც „პალიტრამ“ ფორმატი დროებით შეცვალა და საინფორმაციო გამოშვებების ხანგრძლივობა შემცირდა.

„პალიტრა“ საკითხებს ვრცლად და მიუკერძოებლად აშუქებდა. მათ შორის ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პატიმრობას, რომელიც ოქტომბერ-ნოემბრის ყველაზე გაშუქებადი (29%) თემა იყო.

რადიომაუწყებლმა მონიტორინგის სუბიექტებს 23 საათი დაუთმო. აქედან, ჯამში 7 საათი და 46 წუთი მიხეილ სააკაშვილსა და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ მოდიოდა, ხოლო 9 საათი და 47 წუთი - მთავრობასა და „ქართულ ოცნებაზე“.



ახალი ამბები დაბალანსებული იყო და არც ერთი პოლიტიკური სუბიექტის მიმართ მიკერძოებული გაშუქების შემთხვევები არ დაფიქსირებულა. სუბიექტები, უმეტესად, ნეიტრალურ ტონში შუქდებოდნენ. რადიომაუწყებელი კრიტიკულ დამოკიდებულებასაც ინარჩუნებდა და არც ხელისუფლების მიმართ გამოთქმული მწვავე შეფასებების გაშუქებას ერიდებოდა, რის გამოც მმართველ პარტიას დროის 38% უარყოფით ტონში დაეთმო.



პოლიტიკოსებს, საშუალოდ, 23% პირდაპირი საუბრისთვის ეთმობოდათ - მსმენელს საშუალება ჰქონდა მოესმინა როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენელთა ხმები.



რადიო „პალიტრა“, რომელიც წლების განმავლობაში მიუკერძოებელი რადიოარხის სტატუსს ინარჩუნებს, არც ამჯერად ღალატობდა პროფესიული ეთიკის სტანდარტებს და ინფორმაციულ, დაბალანსებული საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა. თუმცა, პრობლემად კვლავაც რჩება ანალიტიკური და ექსკლუზიური მასალების ნაკლებობა, რაც საინფორმაციო გამოშვებების ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდიდა.

რადიო „იმედი“

რადიო „იმედი“ ახალ ამბებს მოკლედ და ზედაპირულად აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებებში ბალანსი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ არაერთხელ დაირღვა, რადგან ხელისუფლება - ოპოზიციის დაპირისპირებებზე აგებული ახალი ამბები, უმეტესად მმართველი გუნდის პოზიციიდან იყო წარმოდგენილი - ჟურნალისტები ხელისუფლების კრიტიკას ერიდებოდნენ და ოპოზიციის მხრიდან მმართველი გუნდის მიმართ გამოთქმულ ნეგატიურ შეფასებებსაც დროს ნაკლებად უთმობდნენ, ან ოპოზიციონერების მწვავე განცხადებებს ისეთ კონტექსტში წარმოადგენდნენ, სადაც კრიტიკა შესუსტებული და ძალადაკარგული ჩანდა.

თემების მრავალფეროვნებით არც რადიო „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებები გამოირჩეოდა. თუმცა, ზოგჯერ, ეთერში ხვდებოდა ისეთ სიახლეები, რომლითაც სხვა რადიომაუწყებლები არ ინტერესდებოდნენ. მაგალითად, მთავრობის ან კონკრეტული სამინისტროს აქტივობები, ინფორმაცია რომელიმე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების შესახებ. ამ თემების გაშუქებისას მმართველი გუნდის წარმომადგენლები, უმეტესად, დადებით კონტექსტში შუქდებოდნენ.

რადიო „იმედმა“ მონიტორინგის სუბიექტებს 6 საათი და 27 წუთი დაუთმო. ამ დროის ჯამში 68% სახელისუფლებო გუნდის გაშუქებაზე მოდიოდა, ხოლო 19% - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და მიხეილ სააკაშვილზე. ოქტომბერ-ნოემბერში ექსპრეზიდენტის პატიმრობა აქაც ერთ-ერთი ყველაზე გაშუქებადი (21%) თემა იყო.



სუბიექტები, საშუალოდ, 67% ნეიტრალურად გაშუქდნენ. თუმცა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილისთვის დათმობილი დროის უმეტესი ნაწილი ნეგატიურ ტონზე მოდიოდა.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
რადიო "იმედი"
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის დრო იშვიათად ეთმობოდათ. მათ განცხადებებს, მეტწილად, წამყვანი ციტირებდა. გამონაკლისს სახელისუფლებო გუნდი წარმოადგენდა, რაც ისევ და ისევ მათ დადებითად და ოპოზიციის უარყოფითად წარმოჩენას უწყობდა ხელს.

სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქება(%)
რადიო "იმედი"
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, რადიო „იმედის“ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საფუძვლიანი კითხვები ჩნდება. მნიშვნელოვანია, რომ „იმედის“ ჟურნალისტებმა დაიცვან ბალანსი, მმართველი გუნდის მიმართაც დასვან კრიტიკული კითხვები, მოამზადონ ანალიტიკური და სიღრმისეული მასალები, რათა მსმენელს მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტი შესთავაზონ.

რადიო „ფორტუნა“

რადიო „ფორტუნა“ მოვლენებს დაბალანსებულად, თუმცა ზედაპირულად აშუქებდა. გასულ წლებთან შედარებით, არხის საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი მცირედით გაიზარდა, მაგრამ საინფორმაციო გამოშვებებში ახალი ამბები კვლავაც მოკლედ შუქდებოდა, ანალიტიკური და ექსკლუზიური მასალები არ მომზადებულა.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 8 საათი და 11 წუთი დაუთმო. აქედან, ყველაზე ხშირად საუბარი მთავრობასა და „ქართულ ოცნებას“ (4 სთ.), ასევე ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (2 სთ. 12 წთ.) შეეხებოდა.



რადიომაუწყებელი არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა და სუბიექტები, ძირითადად, ნეიტრალურ ტონში შუქდებოდნენ. თუმცა, „ფორტუნა“ არც კრიტიკული ინფორმაციის გაშუქებას ერიდებოდა, რის გამოც მმართველი პარტია უფრო უარყოფითად გაშუქდა, ვიდრე დადებითად.



„ფორტუნას“ ფორმატი წინასაარჩევნო და შემდგომ პერიოდებში არ შეცვლილა. მიუხედავად მცირე ქრონომეტრაჟისა, ჟურნალისტები ახერხებდნენ, რომ დღის მთავარი თემები და ის საკითხები, რასაც სხვა რადიომაუწყებლები აშუქებდნენ, მსმენელამდე დაბალანსებულად მიეტანათ. ახალ ამბებში ხშირად წარმოდგენილი იყო როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის პოზიციები. თუმცა, ეთერში პოლიტიკოსების ხმა არ ისმოდა - ჟურნალისტები მათ კომენტარებს თვითონ ციტირებდნენ.



2021 წლის მონიტორინგის შედეგები გვიჩვენებს, რომ რადიომაუწყებელის ეთერში პოზიტიური ცვლილებები იგრძნობა, რაც, ძირითადად, ბალანსის დაცვასა და მოვლენების შედარებით ვრცელ მიმოხილვას ეხება. თუმცა, „ფორტუნას“ საინფორმაციო გამოშვებებს კვლავაც აკლდა მოვლენების სიღრმისეული გაშუქება და ანალიზი - ახალი ამბები ზედაპირული და მშრალი იყო. აუცილებელია, ჟურნალისტებმა უფრო აქტიურად იმუშაონ, დასვან კითხვები და მსმენელამდე შეჯამებული და ამომწურავი ინფორმაციები მიიტანონ.

რადიო „ჰერეთი“

რადიო „ჰერეთის“ ვრცელ საინფორმაციო გამოშვებებში ქვეყანაში განვითარებული მოვლენები აქტიურად შუქდებოდა. თუმცა, წინა წლებთან შედარებით, ჟურნალისტები აქცენტს თბილისში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე უფრო აკეთებდნენ და რეგიონული ახალი ამბებისა თუ სოციალური თემებისთვის დათმობილმა დრომ იკლო. წინა წლებთან შედარებით შემცირდა სიღრმისეული და ანალიტიკური სიუჟეტების რაოდენობაც - ახალი ამბები ზედაპირულად, ანალიზის გარეშე შუქდებოდა.

რადიომაუწყებელის საინფორმაციო გამოშვებას არასტანდარტული ქრონომეტრაჟი ჰქონდა და მისი ხანგრძლივობა ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესაბამისად იცვლებოდა - ხშირ შემთხვევაში, ოპოზიციის საპროტესტო აქციები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. 27 ოქტომბერს ასევე პირდაპირ ეთერში გადაიცა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო აქციაც.

მაუწყებელმა აქტიურად გააშუქა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პატიმრობის თემაც (სულ გაშუქებული თემების 26%) - ეთერში ყველა მხარის პოზიცია ისმოდა, თუმცა ოპოზიციის შეფასებები სჭარბობდა.

რადიო „ჰერეთმა“ მონიტორინგის სუბიექტებს 25 საათი და 27 წუთი დაუთმო. აქედან 13 საათზე მეტი მმართველი გუნდის გაშუქებაზე მოდიოდა.



„ჰერეთი“ პოლიტიკური ახალი ამბების გაშუქებას დიდ დროს უთმობდა. თუმცა, ახალი ამბები პოლიტიკოსთა ოფიციალურ განცხადებებს უფრო ეფუძნებოდა, ვიდრე ჟურნალისტების მიერ მოძიებულ მასალებს. მაუწყებელი ხელისუფლების აქტივობებს, უმეტესად, კრიტიკულ ჭრილში, თუმცა მიუკერძოებლად, აშუქებდა. ჟურნალისტები არც ერთი პოლიტიკური გუნდის მიმართ მკვეთრად სუბიექტურ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ. პოლიტიკოსები,

საშუალოდ 65%, ნეიტრალურად გაშუქდნენ, ხოლო მათ მიმართ გამოვლენილი უარყოფითი ტონი, ძირითადად, ოპონენტების მწვავე და კრიტიკული განცხადებების შედეგი იყო.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "ჰერეთი"

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



საინფორმაციო გამოშვებებში ისმოდა როგორც ოპოზიციისა და ხელისუფლების, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა განცხადებები. თუმცა, ექსპრეზიდენტის პატიმრობის და მხარდასაჭერი აქციების გაშუქების დროს ბალანსი ოპოზიციის სასარგებლოდ ირღვეოდა. შესაბამისად, პირდაპირი საუბრისთვისაც ოპოზიციურ პარტიებს შედარებით მეტი დრო დაეთმოთ, ვიდრე მმართველ გუნდს.

სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქება(%)

რადიო "ჰერეთი"

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



რადიო „ჰერეთმა“ საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნების ორივე ტურის მიმდინარეობის პროცესი ვრცლად გააშუქა: რეგიონებიდან განხორციელდა პირდაპირი ჩართვები - საუბარი

იყო საარჩევნო უბნებთან არსებულ ვითარებასა და სავარაუდო დარღვევებზე; ეთერი დაეთმო როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების, ადგილობრივი და უცხოური სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეფასებებს.

„ჰერეთი“ კრიტიკული რადიომაუწყებელია, რომელიც ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მუშაობს. თუმცა, იმისთვის, რომ ახალი ამბების ხარისხი გაუმჯობესდეს და წინა წლებში გამოვლენილი დადებთი ტენდენციები შენარჩუნდეს, საჭიროა, მოვლენების უფრო სიღრმისეული ანალიზი და ჟურნალისტების მეტი პროაქტიულობა.

რადიო „სამხრეთის კარიბჭე“ (ქ. ახალციხე)

რადიო „სამხრეთის კარიბჭე“ მოკლე საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, სადაც უმეტესად სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე მოვლენებს ზედაპირულად მიმოიხილავდნენ. ეთერში გასული ინფორმაცია, ძირითადად, მეორად წყაროებს ეყრდნობოდა, არ ჩანდა ჟურნალისტების მცდელობა მასალები თავად მოეძიებინათ და მსმენელისთვის უფრო სიღრმისეული და მრავალფეროვანი ინფორმაცია მიეწოდებინათ. მთლიანობაში, ახალი ამბების ხარისხი მაღალ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა და ჟურნალისტების მიერ მწირი ინფორმაციის ციტირებით შემოიფარგლებოდა, საიდანაც დასკვნების გამოტანა და სიმართლის დადგენა რთული იყო. ზოგჯერ ჟურნალისტები მსმენელს მედიასაშუალების ვებ-გვერდზე ამისამართებდნენ, სადაც ამა თუ იმ საკითხზე ვრცელ სტატიებსა და მეტ ინფორმაციას ჰპირდებოდნენ. თუმცა, რატომღაც ვერ ახერხებდნენ, რომ ვებ-გვერდზე უკვე დამუშავებული მასალები თავად შეეჯამებინათ და მსმენელისთვის მიეწოდებინათ.

მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში მხოლოდ 1 საათი და 12 წუთი დაეთმოთ: ამ დროის უდიდესი ნაწილი (53 წუთი) მთავრობაზე, ადგილობრივ მთავრობასა და მმართველ პარტიაზე საუბრობდნენ.



რადიომაუწყებელი ვერც წინასაარჩევნო პერიოდში და ვერც არჩევნების შემდგომ ვერ ახერხებდა, ადგილობრივი ახალი ამბები ვრცლად და დაბალანსებულად გაეშუქებინა. მართალია, ჟურნალისტები მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავნდნენ, მაგრამ არც ფაქტების გადამოწმებას, დამატებითი მასალების მოპოვებას ცდილობდნენ და არც კრიტიკულ კითხვებს სვამდნენ, რითაც პოლიტიკოსებს საკუთარი თავის დადებითად წარმოჩენას უადვილებდნენ. ამგვარი გაშუქება ხელისუფლების დადებითი ტონის მაჩვენებლებზეც აისახა.



„სამხრეთის კარიბჭეზე“ სუბიექტებს პირდაპირი საუბარისთვის დრო არ დათმობიათ - პოლიტიკოსების განცხადებებს წამყვანები ციტირებდნენ.



რადიომაუწყებელი მსმენელს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში ვერ დაეხმარებოდა, რადგან ვერც რეგიონულ და ვერც ცენტრალურ ახალ ამბებს ჯეროვნად ვერ აშუქებდა. გამოკვეთილი პრობლემები მწვავე და მრავალმხრივია: მოიცავს როგორც ტექნიკურ, ასევე შინაარსობრივ ხარვეზებს. ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია, რომ ჟურნალისტებმა

უფრო აქტიურად იმუშაონ, დასვან კითხვები, გადაამოწმონ ინფორმაცია და მსმენელამდე შეჯამებული, დაბალანსებული და ამომწურავი მასალები მიიტანონ.

რადიო „მარნეული“

რადიო „მარნეულის“ ორენოვან (ქართულ-აზერბაიჯანული) საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, ქვემო ქართლში განვითარებული მოვლენები შუქდებოდა, თუმცა დრო ცენტრალურ ახალ ამბებსაც ეთმობოდა. წინა წლებთან შედარებით, რადიომაუწყებლის მუშაობის ხარისხი გაუარესებულია - ახალ ამბებს კრიტიკული განხილვა მოაკლდა. მაუწყებელი მოვლენებს დაბალანსებულად და მიუკერძოებლად, თუმცა ზედაპირულად, ანალიზის გარეშე აშუქებდა. ჟურნალისტები, ძირითადად, ოფიციალურ ინფორმაციას გადმოსცემდნენ და დამატებითი მასალებისა თუ კომენტარების მოპოვებას ნაკლებად ცდილობდნენ.

რადიო „მარნეულის“ ეთერში მონიტორინგის სუბიექტებს 4 საათი და 48 წუთი დაეთმოთ. აქედან ყველაზე მეტი დრო (თითქმის 2 სთ.) ადგილობრივი მთავრობისა და მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა.



მონიტორინგის სუბიექტები დიდწილად (საშუალოდ, 70%) ნეიტრალურად გაშუქდნენ, რადგან მწვავე კითხვების დასმა და მოვლენების კრიტიკული განხილვა - რაც წინა წლების მონიტორინგის დროს რადიომაუწყებლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ გამოვლინდა

- წლევანდელ მონიტორინგში აღარ გამოკვეთილა. უარყოფითი ტონის მიზეზი, მეტწილად, ოპონენტების მიერ გამოთქმული კრიტიკული შეფასებები იყო.

განსაკუთრებით პრობლემური ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობებისა და ტენდერების გაშუქება იყო, რა დროსაც ძირითადად, ოფიციალურად გამოქვეყნებულ მასალებს ციტირებდნენ და დამატებითი ინფორმაციის მოძიებასა თუ პასუხისმგებელი პირებისთვის კრიტიკული კითხვების დასმას ნაკლებად ცდილობდნენ. ამიტომაც, ხელისუფლების საქმიანობა პოზიტიურად წარმოჩინდებოდა. ხელისუფლებისთვის დაგროვილი დადებითი ტონი ზედაპირული გაშუქებით რომ აიხსნება, ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ჟურნალისტები ვრცელ სიუჟეტებს ამზადებდნენ, ხელისუფლების კრიტიკას არ ერიდებოდნენ და მწვავე კითხვებსაც სვამდნენ.



სუბიექტებისთვის დათმობილი დროის, საშუალოდ, 88% ირიბ საუბარზე მოდიოდა.



წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს ეთერში მხოლოდ კანდიდატების მიერ გაცემული დაპირებები ისმოდა. მუნიციპალური არჩევნების წინ ადგილობრივი მედიის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტის შესაქმნელად

ჟურნალისტებმა მეტად პროაქტიულად უნდა იმუშაონ: ფაქტები გადაამოწმონ, მასალები გააანალიზონ, დასვან კრიტიკული კითხვები და ამით მსმენელს სიმართლის დადგენასა და კარგად გააზრებული არჩევანის მიღებაში დაეხმარონ.

რადიო „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი)

რადიო „ათინათის“ საინფორმაციო გამოშვებებში სამეგრელოს რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები მოკლედ და ზედაპირულად შუქდებოდა. ახალი ამბები უფრო პოლიტიკურ საკითხებს მოიცავდა. შედარებით ვრცლად გაშუქდა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრების თემა - პატიმრობა/შიმშილობა და სააკაშვილის მხარდასაჭერად გამართული ოპოზიციის საპროტესტო აქციების გაშუქებაზე მთლიანობაში გაშუქებული თემების 18% მოდის. ადგილობრივი სიახლეები, უმეტესად, სხვადასხვა პარტიის რეგიონული წარმომადგენლობების აქტივობებს შეეხებოდა. სოციალურ ან რეგიონისთვის/ქალაქისთვის აქტუალურ სხვა საკითხებსა და პრობლემებზე მასალები იშვიათად მზადდებოდა.

„ათინათი“ ხშირად აშუქებდა ოკუპირებულ აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის კოვიდ-19-თან დაკავშირებული ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 3 საათი და 34 წუთი დაუთმო. ყველაზე მეტად (ჯამში 2 სთ.13 წთ.) მთავრობა და „ქართული ოცნება“ გაშუქდნენ, 8 წუთი დაეთმო ადგილობრივ ხელისუფლებას.



ახალი ამბების გაშუქებისას ბალანსი დაცული იყო და მიკერძოების შემთხვევები არ დაფიქსირებულა. თუმცა, გადაცემებს ჟურნალისტების კრიტიკული კითხვები და მოვლენების სიღრმისეული გაშუქება აკლდა. შესაბამისად, „ათინათის“ ეთერში მონიტორინგის სუბიექტები, საშუალოდ, 80% ნეიტრალურად გაშუქდნენ.



პოლიტიკურ სუბიექტებს დრო პირდაპირი საუბრისთვისაც ეძლეოდათ, თუმცა, უმეტესად, მათი ირიბად (საშუალოდ 75%) გაშუქება სჭარბობდა.



რადიომაუწყებელის მთავარ გამოწვევად ჟურნალისტების ნაკლები პროაქტიულობა და მოვლენების სიღრმისეული, მრავალფეროვანი გაშუქება რჩება. მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებელმა მეტი ყურადღება მიაქციოს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას და მსმენელს რეგიონში/მუნიციპალიტეტში არსებული ვითარების და პრობლემების შესახებ ექსკლუზიური და მრავალფეროვანი ინფორმაცია მიაწოდოს.

რადიო „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი)

რადიო „ძველი ქალაქი“ მოკლე, თუმცა დაბალანსებულ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, სადაც იმერეთის რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები ზედაპირულად შუქდებოდა. ჟურნალისტები არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდნენ. წინასაარჩევნო კამპანია მაუწყებელმა მოკლედ გააშუქა. საინფორმაციო გამოშვებებში მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატების ხედვებსა და საარჩევნო პროგრამებზე დეტალური საუბარი არ ყოფილა. მონიტორინგის ბოლო პერიოდში, აქაც ისევე როგორც სხვა რადიომაუწყებლებში, ყველაზე გაშუქებადი თემა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა იყო. მთლიანობაში გაშუქებული თემების 34% სააკაშვილის დაპატმრების, შიმშილობის და მისი მხარდასაჭერი აქციების გაშუქებას დაეთმო. მსმენელს საშუალება ჰქონდა ამ საკითხების ირგვლივ განსხვავებული მოსაზრებები მოესმინა.

„ძველმა ქალაქმა“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 4 საათი და 21 წუთი დაუთმო. აქედან 2 საათი და 26 წუთი მმართველი გუნდის გაშუქებაზე მოდიოდა, საათი და 4 წუთი გადანაწილდა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და მიხეილ სააკაშვილზე.



რადიომაუწყებელი ახალ ამბებს მოკლედ და მშრალად გადმოსცემდა. ჟურნალისტები კითხვებს ნაკლებად სვამდნენ და პოლიტიკოსების ურთიერთსაწინააღმდეგო ზოგადი კომენტარების გაჟღერებით შემოიფარგლებოდნენ. შედეგად, „ქართულ ოცნებას“ ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი დაუგროვდა.



ახალი ამბების გაშუქებისას გადაცემის წამყვანი პოლიტიკოსებს, მეტწილად, ციტირებდა. შესაბამისად, მონიტორინგის სუბიექტების პირდაპირ საუბარს უმნიშვნელო დრო დაეთმო.



რადიოარხის ჟურნალისტები პროაქტიულობით არ გამოირჩეოდნენ და მსმენელს რეგიონში არსებული პრობლემების თაობაზე ნაკლებად ესაუბრებოდნენ. თუმცა, რამდენიმე ისეთი საკითხიც გააშუქეს, სადაც წინა პლანზე ადგილობრივი პრობლემები იყო წამოწეული და მათ შესახებ მსმენელს პასუხისმგებელი პირების პოზიციებიც გააცნეს. მსგავსი ტიპის მეტი მასალის მომზადება საინფორმაციო გამოშვებების ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდიდა.

„ძველი ქალაქი“ დიდ დროს უთმობდა ქუჩის გამოკითხვებს. მაგრამ, კონტექსტისა და დამატებითი მასალების არარსებობის გამო დასკვნების გაკეთება რთული იყო. ცალკე აღებული ქუჩის გამოკითხვები საზოგადოებაში არსებული მოსაზრებების წარმოსაჩენად საკმარისი არ არის და შესაძლოა მოსახლეობის პოზიციების შესახებ არასწორი ან

ილუზორული წარმოდგენა შექმნას. ქუჩის გამოკითხვების გამოყენება მხოლოდ სიუჟეტის გასამდიდრებლად არის რეკომენდებული და ახალ ამბების მთავარ თემად ვერ გამოდგება.

რადიო „ძველი ქალაქის“ მთავარ გამოწვევად კვლავაც მოვლენების სიღრმისეული გაშუქება რჩება. მნიშვნელოვანია, რომ რეგიონულმა მაუწყებელმა მეტი ყურადღება მიაქციოს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას და მსმენელს მათთვის მტკივნეულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მოსაზრებები გააცნოს.